

წესდება

თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირი (თგესს)

SATZUNG

der Vereinigung zur Gründung und Förderung der Deutschen Internationalen Schule Tbilissi (DIST)

კავშირის მიზანი

§1 კავშირის სახელწოდება, იურიდიული მისამართი და საანგარიშგებო წელიწადი

- (1) კავშირის სახელწოდებაა „თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირი“ (თგესს). შემოკლებულად - „გერმანული სკოლის კავშირი“, ან „კავშირი“
- (2) კავშირი წარმოადგენს წევრებზე დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.
- (3) კავშირი მდებარეობს თბილისში, საქართველოში
- (4) კავშირის იურიდიული მისამართია ს/მ ბარბარა ვატენდორფი, ჯანაშიას ქ. 9, 0179 თბილისი.
- (5) კავშირის საანგარიშო წელიწადია 1 სექტემბრიდან მომდევნო წლის 31 აგვისტომდე.

§2 გერმანული სკოლის კავშირისა და სკოლის მიზანი

- (1) გერმანული სკოლის კავშირის მიზანია არაკომერციული, ზოგადსაგანმანათლებლო, ინტეგრირებული გერმანულ-ქართული სკოლის და ასევე საბავშვო ბაღისა და გერმანულენოვანთათვის წინა სასკოლო სასწავლებლის დაფუძნება და მხარდაჭერა. გერმანული სკოლის კავშირი ხელმძღვანელობს არაკომერციული საქმიანობის შესაბამისი წესებით.
- (2) გერმანული სკოლის კავშირის ყველა წევრი ეთანხმება (1)- მუხლში

VEREINIGUNGSZWECK

§1 Name, Sitz und Geschäftsjahr der Vereinigung

- (1) Der Name der Vereinigung lautet „Vereinigung zur Gründung und Förderung der Deutschen Internationalen Schule Tbilissi (DIST)“. Die Kurzbezeichnung lautet „Deutscher Schulverein“ oder alternative „Vereinigung“.
- (2) Organisationsform der Vereinigung ist eine auf die Mitgliedschaft bezogene nichtkommerzielle juristische Person.
- (3) Sitz der Vereinigung ist in Tbilissi, Georgien
- (4) Die Geschäftsadresse lautet: c/o Barbara Wattendorf, Janashia Str. 9, 0179 Tbilissi.
- (5) Das Geschäftsjahr der Vereinigung ist der 1. September bis zum 31. August des nachfolgenden Jahres.

§2 Zweck und Ziel des Deutschen Schulvereins und der Schule

- (1) Zweck des Deutschen Schulvereins ist die Einrichtung und dauerhafte Unterhaltung einer nichtkommerziellen, allgemeinbildenden, integrierten Begegnungsschule einschließlich Kindergarten und Vorschule für Deutschsprachige. Der Deutsche Schulverein sichert die Voraussetzungen für die Zuerkennung der Gemeinnützigkeit.
- (2) Jedes Mitglied des Deutschen Schulvereins hat der im Absatz (1) festgelegten

განსაზღვრულ, უცვლელ მიზანს.

unveränderlichen Zielsetzung der Vereinigung zuzustimmen.

§3 საქმიანობის სფერო

§3 Tätigkeitsgegenstand

- (1) სკოლა ემსახურება იმ მიზანს, რომ მისცეს მოსწავლეებს ორენოვანი, ბი-კულტურული სასკოლო განათლება, რომელიც ითვალისწინებს გერმანულ სასწავლო მიზნებს, იყენებს გერმანულ სასწავლო გეგმებს და როგორც წესი, მიმართულია გერმანული ატესტატის მოპოვებაზე. ქართულენოვანი სწავლება განხორციელდება ქართული ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე.
- (2) სკოლა ისახავს მიზნად, მოსწავლეებს შეასწავლოს გერმანული და ქართული ენა და კულტურა და, გარდა ამისა, სკოლგარეშე საქმიანობის საშუალებით, ხელი შეუწყოს ადამიანური და კულტურული კავშირების დამყარებას, ურთიერთგაგებას.
- (3) ამ მიზნის შესაბამისად სკოლაში მიიღება როგორც გერმანიის და საქართველოს მოქალაქეები, ისევე ნებისმიერი სხვა მესამე ქვეყნის მოქალაქეებიც, იმის გათვალისწინებით, რომსკოლის არსებული რესურსი ამის შესაღებლობას იძლევა, და იმ შემთხვევაში, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას და შესრულებულია სკოლაში მიღების წინაპირობები.
- (4) მიზნის განხორციელებაზე მიმართული სკოლის პროგრამა და სტრუქტურა დგინდება გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩოსა და შესაბამისი პასუხისმგებელი ქართული სახელმწიფო უწყებების მონაწილეობით, საქართველოსა და გერმანიას შორის ხელმოსაწერი თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნების ორმხრივი შეთანხმებით.

- (1) Die Schule dient dem Ziel, ihren Schülern eine zweisprachige, bi-kulturelle Schulbildung zu ermöglichen, die auf deutsche Bildungsziele unter Verwendung deutscher Lehrpläne und in der Regel auf deutsche Abschlüsse ausgerichtet ist. Landessprachlicher Unterricht wird auf der Grundlage georgischer Lehrpläne angeboten.
- (2) Die Schule stellt sich darüber hinaus die Aufgabe, die Schüler mit der deutschen und georgischen Sprache und Kultur vertraut zu machen sowie auch durch außerschulische Aktivitäten menschliche und kulturelle Verbindungen zu pflegen und gegenseitiges Verständnis zu fördern.
- (3) Im Rahmen dieser Zielsetzung steht die Schule neben allen Schülern deutscher und georgischer Staatsangehörigkeit auch Schülern aus Drittstaaten offen, soweit die Kapazität der Schule dies zulässt, die georgischen gesetzlichen Bestimmungen dem nicht entgegenstehen sowie die weiteren Zulassungsvoraussetzungen gemäß der Aufnahmeordnung der Schule erfüllt sind.
- (4) Struktur und Programm der Schule orientieren sich an dieser Zielsetzung und werden im Einvernehmen mit dem Auswärtigen Amt unter Mitwirkung der Botschaft der Bundesrepublik Deutschland sowie unter Beteiligung der zuständigen georgischen Behörden entsprechend der anlässlich der Gründung der Deutschen Internationalen Schule Tbilisi zu unterzeichnenden bilateralen Vereinbarungen zwischen Deutschland und Georgien festgelegt.

წევრობა

§4 წევრები

- (1) კავშირის წევრი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომელსაც შეუსრულდა 18 წელი, საკმარისად ფლობს გერმანულ ენას და ეთანხმება § 2-ით განსაზღვრულ გერმანული სკოლის კავშირის მიზნებს.
- (2) იურიდიული პირები შეიძლება გახდნენ გერმანული სკოლის კავშირის წევრები. მათ უფლება აქვთ, საერთო კრებაზე მიაველინონ გერმანული ენის საკმარისად მცოდნე წარმომადგენელი.
- (3) წევრობის ფორმები
 - ა) გერმანული სკოლის კავშირის დამფუძნებელი წევრები არიან ფიზიკური და იურიდიული პირები, რომელთაც ხელი მოაწერეს კავშირის სადამფუძნებლო დოკუმენტაციას და რომლებიც რეგისტრირებული არიან, როგორც დამფუძნებელი წევრები. დამფუძნებელ წევრებს გააჩნიათ ხმის უფლება საერთო კრების კომპეტენციაში შემავალ ყველა ამოცანასთან დაკავშირებით.
 - ბ) ჩვეულებრივი წევრები არიან ფიზიკური და იურიდიული პირები, რომელთაც საქართველოში გააჩნიათ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და რომელთაც გააჩნიათ სურვილი აქტიურად ითანამშრომლონ გერმანული სკოლისა და გერმანული სკოლის კავშირის ადმინისტრაციულ ორგანოებში.
 - გ) პასიური წევრები არიან ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც ეთანხმებიან გერმანული სკოლის კავშირის მიზნებსა და ამოცანებს და მხარს უჭერენ გერმანულ სკოლას, თუმცა საქართველოში არ გააჩნიათ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი. პასიურ წევრებს ხმის უფლება არ გააჩნიათ.
 - დ) დამფუძნებელ წევრებსა და ჩვეულებრივი წევრებს, რომლებიც დატოვებენ საქართველოში მუდმივ

MITGLIEDSCHAFT

§4 Mitglieder

- (1) Mitglied des Deutschen Schulvereins kann jede natürliche Person werden, die das 18. Lebensjahr vollendet hat, die deutsche Sprache hinreichend beherrscht und den Zielen des Deutschen Schulvereins unter § 2 zustimmt.
- (2) Juristische Personen können Mitglied des Deutschen Schulvereins werden. Sie können einen stimmberechtigten, die deutsche Sprache hinreichend beherrschenden Mitarbeiter in die Mitglieder Versammlung entsenden.
- (3) Arten der Mitgliedschaft
 - a) Gründungsmitglieder des Deutschen Schulvereins sind alle natürlichen oder juristischen Personen, die die Gründungsdokumente der Vereinsgründung unterschrieben haben und als Gründungsmitglieder eintragen sind. Gründungsmitglieder sind in allen Aufgaben der Mitgliederversammlung stimmberechtigt.
 - b) Ordentliche Mitglieder sind alle natürlichen und juristischen Personen, die ihren Wohnsitz in Georgien haben und die sich aktiv in den Gremien des Deutschen Schulvereins und der Deutschen Schule engagieren wollen, um Zweck und Zielsetzung des Deutschen Schulvereins und der Schule zu sichern. Eltern von Kindern, die die Schule besuchten, und die die deutsche Sprache hinreichend beherrschen, sollen ordentliche Mitglieder der Vereinigung werden. Ordentliche Mitglieder sind in allen Aufgaben der Mitgliederversammlung stimmberechtigt.
 - c) Fördermitglieder sind alle natürlichen oder juristischen Personen, die Zweck und Zielsetzung des Deutschen Schulvereins und der Schule fördern wollen, aber nicht notwendigerweise einen Wohnsitz in Georgien haben. Fördermitglieder sind nicht stimmberechtigt.
 - d) Gründungsmitglieder und ordentliche

საცხოვრებელ ადგილს, უფლება აქვთ საანგარიშო წლის დასრულებამდე მგანცხადების საფუძველზე მოახდინონ პასიურ წევრად ტრანსფორმირება. წინააღმდეგ შემთხვევაში წევრობის საკითხი გადაწყდება § 7-ის შესაბამისად.

Mitglieder, die ihren ständigen Wohnsitz ins Ausland verlegen, können auf Antrag ihre Mitgliedschaft zum Ende des Geschäftsjahres in eine Fördermitgliedschaft umwandeln. Andernfalls gelten die Bestimmungen des § 7.

§5 მიღება

- (1) წევრობის კანდიდატმა წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს გამგეობას და იკისროს ყოველწლიური საწევრო გადასახადის გადახდა. წევრად მიღების სამართლებრივი მოთხოვნა არ არსებობს.
- (2) მიღების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს გამგეობა. განაცხადის არ დაკმაყოფილება არ საჭიროებს მიზეზების განმარტებას.

§5 Aufnahme

- (1) Der Bewerber muss beim Vorstand einen schriftlichen Aufnahmeantrag stellen und sich darin verpflichten, jährlich den von der Mitgliederversammlung festgesetzten Beitrag zu bezahlen. Ein Rechtsanspruch auf die Mitgliedschaft besteht nicht.
- (2) Über das Aufnahmegesuch entscheidet der Vorstand. Eine Ablehnung erfolgt ohne Angabe von Gründen.

§6 წევრობის შეწყვეტა

- (1) წევრს უფლებამოსილება უწყდება გარდაცვალებისას, კავშირიდან გასვლის ან გარიცხვის შემთხვევაში
- (2) გარდა ამისა წევრობა წყდება, თუ საანგარიშგებო წელიწადის დასაწყისში წინასწარი წერილობითი გაფრთხილების მიუხედავად, საწევრო არ იქნება გადახდილი დადგენილ ვადაში.
- (3) კავშირიდან გასვლა შესაძლებელია არაუადრეს საანგარიშო წელიწადის დასასრულისათვის.
- (4) წევრობის შეწყვეტასთან ერთად, წევრი უარს აცხადებს გერმანულის სკოლის კავშირის მიმართ არსებულ ყველა მოთხოვნაზე.

§6 Erlöschen der Mitgliedschaft

- (1) Die Mitgliedschaft endet durch Tod, Austritt oder Ausschluss des Mitgliedes aus der Vereinigung.
- (2) Die Mitgliedschaft erlischt ferner, wenn der zu Beginn des Geschäftsjahres fälliger Mitgliedsbeitrag nach vorheriger schriftlicher Mahnung bis zum Ablauf der gesetzten Frist nicht entrichtet wurde.
- (3) Ein Austritt aus der Vereinigung kann frühestens zum Ende des Geschäftsjahres erfolgen.
- (4) Mit dem Erlöschen der Mitgliedschaft wird auf sämtliche Ansprüche gegenüber dem Deutschen Schulverein verzichtet.

§7 გარიცხვა

- (1) წევრთა კრება უფლებამოსილია გარიცხოს კავშირის წევრი, თუკი ის თავისი ქმედებით ღახავს ან ზიანს აყენებს კავშირის ინტერესებს. გადაწყვეტილების მიღებამდე კავშირის წევრს აქვს განმარტების მიცემის უფლება. გადაწყვეტილება

§7 Ausschluss

- (1) Mitglieder können durch Beschluss der Mitgliederversammlung ausgeschlossen werden, wenn sie durch ihr Verhalten das Ansehen oder die Interessen der Vereinigung schädigen. Vor der Entscheidung ist dem Betroffenen die Möglichkeit zur Stellungnahme zu geben.

საჭიროებს დამსწრე წევრთა მინიმუმ ორი მესამედის თანხმობას. გარიცხულ წევრს მიეცემა შეტყობინება გადაწყვეტილების და ასევე ამ გადაწყვეტილების მიზეზების შესახებ.

- (2) დამფუძნებელი წევრები და ჩვეულებრივი წევრები, რომლებიც მუდმივ საცხოვრებელ ადგილს გადაიტანენ უცხოეთში და ერთმანეთის მიყოლებით ორ საერთო კრებაზე არ გამოცხადდებიან, გაირიცხებიან კავშირიდან, თუ არ მოადენენ პასიურ წევრად ტრანსფორმირებას, § 4 (3) შესაბამისად. წინამდებარე დათქმა არ ზღუდავს § 6 (2)-ით გათვალისწინებულ დანაწესს.

§8 წევრთა უფლებები და მოვალეობები

- (1) წევრობა ნებაყოფლობითია.
- (2) წევრი კავშირის ვალდებულებებთან მიმართებაში პასუხს არ აგებს პირადი ქონებით, არამედ მხოლოდ საწევრო გადასახადის ფარგლებში,

§9 საპატიო წევრობა და საკონსულტაციო საბჭო

- (1) იმ პირებს, რომლებსაც განსაკუთრებული დამსახურება აქვთ გერმანული სკოლის და გერმანული ენის წინაშე, ანდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკასა და საქართველოს შორის კულტურული კავშირების განმტკიცების სფეროში, სკოლის კავშირის გამგეობის მიერ წევრთა საერთო კრების წინაშე წარდგენის შემდეგ, შეიძლება არჩეულ იქნან კავშირის ხმის მქონე საპატიო წევრებად.
- (2) კავშირის საპატიო წევრები ქმნიან საკონსულტაციო საბჭოს, რომელიც კონსულტაციას უწევს საბჭოს, მისი საქმიანობის დროს. ამ მიზნით, წელიწადში ერთხელ მაინც იმართება საკონსულტაციო საბჭოსა და გამგეობის საერთო სხდომა.
- (3) საკონსულტაციო საბჭოსა და გამგეობის საერთო სხდომა ტარდება საკონსულტაციო საბჭოს

Der Beschluss bedarf einer Mehrheit von zwei Dritteln der anwesenden Mitglieder. Der Beschluss wird unter Angabe des Grundes dem Betroffenen mitgeteilt.

- (2) Unbeschadet der Regelungen des § 6 (2), werden Gründungsmitglieder und ordentliche Mitglieder, die ihren ständigen Wohnsitz ins Ausland verlegen und auf zwei aufeinanderfolgende Mitgliederversammlungen nicht anwesend waren, aus der Vereinigung ausgeschlossen, sofern sie ihre Mitgliedschaft nicht gemäß § 4 (3) in eine Fördermitgliedschaft umwandeln.

§8 Rechte und Pflichten der Mitglieder

- (1) Die Mitgliedschaft ist freiwillig.
- (2) Das Mitglied haftet für Verbindlichkeiten der Vereinigung nur über seine Mitgliedsbeiträge, nicht aber mit seinem persönlichen Vermögen.

§9 Ehrenmitglieder und Beirat

- (1) Personen, die sich um die Deutsche Schule, die deutsche Sprache oder die kulturellen Beziehungen zwischen der Bundesrepublik Deutschland und dem Inland besondere Verdienste erworben haben, können auf Antrag des Schulvereinigungs Vorstandes von der Mitgliederversammlung zu stimmberechtigten Ehrenmitgliedern der Vereinigung ernannt werden.
- (2) Die Ehrenmitglieder der Vereinigung bilden den Beirat, der den Vorstand in seiner Arbeit berät und hierzu Empfehlungen ausspricht. Zu diesem Zweck tagt der Beirat mindestens einmal jährlich gemeinsam mit dem Vorstand.
- (3) Die Einberufung der gemeinsamen Sitzung des Beirats und des Vorstandes erfolgt entweder auf Antrag eines Beiratsmitgliedes bzw. durch ordentliche Einberufung durch

განაცხადის საფუძველზე, ან გამგეობის მოწვევით.

- (4) საკონსულტაციო საბჭოს რეკომენდაციები, იმდენად რამდენადაც ისინი გერმანიის მხარდაჭერის ფორმასა და მოცულობაზე არ აისახება, უნდა გათვალისწინებულ იქნას სკოლის კავშირის გამგეობის მიერ.

წევრთა საერთო კრება

§10 საერთო კრების ვადები

- (1) წევრთა წლიური საერთო კრება უნდა ჩატარდეს საანგარიშგებო წელიწადის დაწყებიდან არა უგვიანეს ორი თვის განმავლობაში, სულ მცირე წელიწადში ერთხელ.
- (2) დამატებითი საერთო კრების მოწვევა შესაძლებელია გამგეობის გადაწყვეტილებით, ან წევრთა მინიმუმ ერთი მესამედის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, სადაც დასახელებული იქნება შეკრების მიზეზი. ასეთ შემთხვევაში საერთო კრება უნდა ჩატარდეს სამი კვირის განმავლობაში.

§11 საერთო კრების ჩატარება

- (1) საერთო კრებებს იწვევს და მართავს გამგეობის თავჯდომარე. წერილობითი მოწვევა, სადაც დაფიქსირებული იქნება დღის განრიგი, ჩატარების თარიღი, დრო და ადგილი უნდა დაიგზავნოს კრების ჩატარებამდე ერთი კვირით ადრე. მოწვევა შესაძლებელია ელექტრონული მედიების გამოყენებით.
- (2) საქმისწარმოების ენა არის გერმანული. წევრთა საერთო კრების ოქმები დაიწერება გერმანულ და ქართულ ენაზე.

§12 ქვორუმი

- (1) საერთო კრება უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუკი სხდომას ესწრება კავშირის ხმის

den Vorstand.

- (4) Die Empfehlungen des Beirats sollen, soweit sie sich nicht auf Art und Umfang der deutschen Förderung auswirken, in den Entscheidungen des Schulvorstandes Berücksichtigung finden.

MITGLIEDERVERSAMMLUNG

§10 Termine der Mitgliederversammlung

- (1) Die Jahresmitgliederversammlung muss, mindestens einmal im Jahr, innerhalb von zwei Monaten nach Beginn des Geschäftsjahres stattfinden.
- (2) Weitere Mitgliederversammlungen werden einberufen, wenn sie vom Vorstand beschlossen oder von mindestens einem Drittel der Mitglieder beim Vorsitzenden des Vorstandes schriftlich unter Angabe der Gründe beantragt werden. Die Mitgliederversammlung soll dann binnen drei Wochen stattfinden.

§11 Einberufung der Mitgliederversammlung

- (1) Die Mitgliederversammlungen werden durch den Vorsitzenden des Vorstandes einberufen und geleitet. Die Einladung erfolgt schriftlich mit Angabe der Tagesordnung, des Datums, der Uhrzeit und des Orts, wo die Mitgliederversammlung stattfindet und muss spätestens 1 Woche vor dem Tag der Versammlung zugestellt werden. Die Einladung kann durch elektronische Medien erfolgen.
- (2) Die Verhandlungssprache ist Deutsch. Die Niederschriften über die Mitgliederversammlungen werden in deutscher und georgischer Sprache verfasst.

§12 Beschlussfähigkeit

- (1) Die Mitgliederversammlung ist beschlussfähig, wenn mindestens ein Drittel der stimmberechtigten Mitglieder bei den

უფლების მქონე წევრთა მინიმუმ ერთი მესამედი . არ მყოფი წევრები არ შეიძლება წარმოდგენილ იქნან სხდომაზე დამსწრე წევრების მიერ. იურიდიულ პირებს შეუძლიათ თავის წარმომადგენლის გამოგზავნა კრებაზე, თუკი ის საკმარისად ფლობს გერმანულ ენას.

- (2) თუკი კრება არ არის გადაწყვეტაუნარიანი, მაშინ თავჯდომარე იწვევს ახალ საერთო კრებას, რომელიც უნდა ჩატარდეს იმავე დღის განრიგით არა უგვიანეს 14 დღის განმავლობაში. სხდომა შეიძლება პირველადი მოწვევის დღესაც, ერთი საათის დაგვიანებით და დამსწრე წევრთა რაოდენობის მიუხედავად უფლებამოსილია გადაწყვეტილებების მიღებისთვის.

Abstimmungen anwesend ist. Abwesende Mitglieder können sich nicht durch anwesende Mitglieder vertreten lassen. Juristische Personen können einen stimmberechtigten Vertreter in die Mitgliederversammlung entsenden, sofern dieser über ausreichende deutsche Sprachkenntnisse verfügt.

- (2) Ist die Versammlung beschlussunfähig, so beruft der Vorsitzende eine neue ein. Die mit der gleichen Tagesordnung stattfindende zweite Versammlung muss spätestens nach 14 Tagen erfolgen. Sie kann bereits am Tag der ersten Versammlung, jedoch mindestens eine Stunde später stattfinden und ist dann unabhängig von der Zahl der anwesenden Mitglieder beschlussfähig.

§13 ამოცანები

საერთო კრების ამოცანებია:

- (1) დაამტკიცოს უკანასკნელი საერთო კრების ოქმი
- (2) მოისმინოს თავჯდომარეს ანგარიში გამგეობის საქმიანობის შესახებ
- (3) მოისმინოს სკოლის ხელმძღვანელის ანგარიში;
- (4) მოისმინოს ფინსების მაკონტროლებელის საფინანსო ანგარიში სკოლის კავშირის გამგეობის ფინანსური საქმიანობის შესახებ;
- (5) დაამტკიცოს გამგეობის მიერ წარმოდგენილი მომდევნო საანგარიშგებო წელიწადის ბიუჯეტი;
- (6) დაითხოვოს გამგეობა;
- (7) გადაწყვიტოს შენობა-ნაგებობების, ნაკვეთების შეძენის საკითხი. მიიღოს გადაწვეტილება სესხის აღების თაობაზე, თუკი ეს არ შედის გამგეობის კომპეტენციაში;
- (8) გადაწყვეტილება მიიღოს გამგეობის, კავშირის წევრის მიერ წამოჭრილ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც მოწვევაშია დაფიქსირებული;
- (9) გამგეობის არჩევა;

§13 Aufgaben

Aufgaben der Mitgliederversammlung sind:

- (1) Beschlussfassung über die Niederschrift der letzten Mitgliederversammlung;
- (2) Entgegennahme des Berichts des Vorsitzenden über die Tätigkeit des Vorstandes;
- (3) Entgegennahme des Berichts des Schulleiters;
- (4) Entgegennahme des Berichts der Rechnungs- und Kassenprüfer über die Rechnungslegung des Schulvereinigungsverstandes;
- (5) Beschluss über den vom Vorstand vorgelegten Haushaltsentwurf für das weitere Geschäftsjahr.
- (6) Entlastung des Vorstandes;
- (7) Beschlüsse über Erwerb oder Veräußerung von Gebäuden bzw. Grundstücken. Darüber hinaus auch Beschlüsse über die Aufnahme von Darlehen, soweit der Vorstand nicht entscheidungsbefugt ist;
- (8) Beschlussfassung über Anträge des Vorstandes bzw. von Mitgliedern, die mit der Einladung zur Mitgliederversammlung im Wortlaut mitgeteilt wurden;
- (9) Wahl des Vorstandes;

- (10) ფინანსური მაკონტროლებლის არჩევა;
- (11) კავშირის რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

- (10) Wahl der Rechnungs- und Kassenprüfer;
- (11) Beschlussfassung über die Umwandlung und Auflösung der Vereinigung.

§14 ხმის მიცემა

- (1) საერთო კრების გადაწყვეტილებები, თუკი ეს წესდებით სხვაგვარად არ არის დადგენილი, მიიღება მარტივი უმრავლესობით. ხმათა თანაფარდობის შემთხვევაში გადაწყვეტილება არ მტკიცდება.
- (2) მასწავლებლებს და სკოლის სხვა თანამშრომლებს არა აქვთ გამგეობის დათხოვნასა და არჩევის დროს ხმის მიცემის უფლება.

§14 Abstimmungen

- (1) Die Beschlüsse der Mitgliederversammlung erfolgen - soweit die Satzung nichts anderes bestimmt - mit einfacher Stimmenmehrheit der anwesenden Mitglieder. Bei Stimmgleichheit wird der Beschlussentwurf abgewiesen.
- (2) Lehrer und andere Angestellte der Schule haben bei der Wahl und Entlastung des Vorstandes kein Stimmrecht.

§15 ოქმი

- (1) სხდომის შესახებ დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ კავშირის სხდომის თავჯდომარე და მდივანი.
- (2) გამგეობის თავჯდომარე უზრუნველყოფს, რომ ოქმი დაეგზავნოს ყველა წევრს და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩოს ხელმძღვანელს. ოქმის ჩასწორებების წინადადებებს აგროვებს თავჯდომარე და გამოაქვს მომდევნო საერთო კრებაზე განსახილველად. ოქმი შეიძლება დაიგზავნოს ელექტრონული მედიების საშუალებით.

§15 Niederschrift

- (1) Über die Verhandlung wird eine Niederschrift angefertigt, die vom Vorsitzenden der Versammlung und vom Schriftführer unterzeichnet wird.
- (2) Der Vorsitzende des Vorstandes veranlasst die Versendung von Abschriften der Niederschrift an alle Mitglieder und den Leiter der Botschaft der Bundesrepublik Deutschland. Änderungsanträge zur Niederschrift sind vom Vorsitzenden aktenkundig und zum Gegenstand der nächsten Mitgliederversammlung zu machen. Die Versendung der Abschriften kann mit elektronischen Medien erfolgen.

სკოლის კავშირის გამგეობა

SCHULVEREINIGUNGSVORSTAND

§16 წევრები და სხდომების მუდმივი მონაწილეები

§16 Mitglieder und ständige Sitzungsteilnehmer

- (1) გამგეობა შედგება ჩვეულებრივ შვიდი, მაგრამ არანაკლებ სამი წევრისაგან. გამგეობის წევრები შეიძლება იყვნენ გერმანული სკოლის კავშირის წევრები.
- (2) გამგეობის ყველა წევრი დარეგისტრირდება საქართველოს შესაბამის ორგანოებში

- (1) Der Vorstand soll aus sieben Mitgliedern bestehen, mindestens jedoch aus drei Mitgliedern. Dem Vorstand können nur Mitglieder des Deutschen Schulvereins angehören.
- (2) Alle Mitglieder des Vorstandes werden bei den georgischen Behörden als rechtsgeschäftliche und haftende Vertreter

წარმომადგენლობითი
უფლებამოსილების მქონე
პასუხისმგებელ პირად, § 23 (2)
მოცემული შეზღუდვის
გათვალისწინებით.

- (3) სკოლის კავშირის გამგეობის წევრები შეიძლება იყვნენ მხოლოდ გერმანული სკოლის კავშირის წევრები (ფიზიკური პირები) და იურიდიული პირების უფლებამოსილი წარმომადგენლები. მასწავლებლები და თანამშრომლები, ასევე სკოლის საკონსულტაციო საბჭოში მყოფი მშობლები არ შეიძლება არჩეულ იქნან კავშირის გამგეობის წევრებად. გამგეობის წევრები თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ ანაზღაურების გარეშე.
- (4) გამგეობის ყველა სხდომას საკონსულტაციო ხმის უფლებით ესწრება:
- გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩოს ხელმძღვანელი ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი
 - სკოლის ხელმძღვანელი, და ასევე
 - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

§17 დანარჩენი მონაწილეები

სკოლის კავშირის გამგეობის გადაწყვეტილებით სხდომაზე ან სხდომის დღის განრიგის ცალკეული პუნქტის განხილვისას შეიძლება მოწვეულ იქნან სხდომის სხვა მონაწილეებიც, ხმის უფლების გარეშე.

§18 გამგეობის წევრობის ხანგრძლივობა და შეცვლა

- (1) გამგეობის წევრი ირჩევა ორი წლის ვადით.
- (2) იმ შემთხვევაში, თუ გამგეობის წევრი გადაწყვეტს ვადაზე ადრე დატოვოს დაკავებული თანამდებობა, ასეთ შემთხვევაში საერთო კრება ირჩევს მის შემცვლელს, რომლის წევრობა სრულდება გამგეობის უფლებამოსილების დასრულებასთან ერთად.

mit der Einschränkung aus § 23 (2)
eingetragen.

- (3) Mitglieder des Schulvereinigungsvorstands können nur Mitglieder des Deutschen Schulvereins (natürliche Personen) bzw. die bevollmächtigte Vertreter von juristischen Personen. Lehrer und Angestellte sowie Elternbeiräte der Schule können nicht in den Schulvereinigungsvorstand gewählt werden. Vorstandsmitglieder üben ihre Tätigkeit ehrenamtlich aus.
- (4) An allen Sitzungen des Vorstandes nehmen mit beratender Stimme teil:
- der Leiter der Botschaft der Bundesrepublik Deutschland oder dessen Beauftragter,
 - der Schulleiter sowie
 - der Verwaltungsleiter.

§17 Weitere Sitzungsteilnehmer

Auf Beschluss des Schulvereinigungsvorstandes können weitere Teilnehmer zu den Sitzungen oder zu einzelnen Tagesordnungspunkten ohne Stimmrecht hinzugezogen werden.

§18 Amtszeit und Nachfolge

- (1) Die Amtszeit der Vorstandsmitglieder beträgt zwei Jahre.
- (2) Scheidet ein Vorstandsmitglied vor Ablauf seiner Amtszeit aus, so wählt die Mitgliederversammlung einen Nachfolger für das ausgeschiedene Vorstandsmitglied. Dessen Amtszeit endet mit der Amtszeit des gesamten gewählten Vorstandes.

§19 ადმინისტრაციული მოწყობა და შიდაგანწყობა

- (1) გამგეობა ამტკიცებს შიდაგანწყობას.
- (2) გამგეობას შეუძლია საკუთარი შემადგენლობიდან აირჩიოს შემდეგ სფეროებზე პასუხისმგებელ პირები:
 - თავჯდომარე
 - საფინანსო სფერო
 - სამართლებრივი სფერო
 - კადრების სფერო
 - სამშენებლო სფერო
 - სამდივნო
 - მარკეტინგიერთ-ერთი სფეროზე პასუხისმგებელი პირი ასრულებს თავჯდომარის მოადგილის ფუნქციას
- (3) საქმისწარმოების ენა არის გერმანული

§20 გადაწყვეტილებები და უფლებამოსილება

- (1) გამგეობის გადაწყვეტილებები მიიღება გამგეობის დამსწრე წევრების უმრავლესობით. ხმების თანაფარდობის შემთხვევაში გადამწყვეტია თავჯდომარეს ხმა.
- (2) გამგეობის სხდომა გადაწყვეტაუნარიანია, თუკი სხდომას ესწრება წევრთა ნახევარი მაინც.
- (3) თუკი გამგეობამ, მაგალითად, წევრთა გამგეობიდან გასვლის გამო, დაკარგა უფლებამოსილება, მაშინ გამგეობის თავჯდომარე ასახელებს საქმეთა მმართველს, რომელიც უფლებამოსილია, გამგეობის უფლებამოსილების აღდგენამდე წარმართოს გამგეობის მთელი საქმიანობა. თუკი გამგეობა დატოვა თავჯდომარემ და ასევე მისმა მოადგილემ, და არ მოხერხდა საქმეთა მმართველის დანიშვნა 20 დღის განმავლობაში, მაშინ საქმეთა მმართველის დანიშვნის უფლება ენიჭება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩოს ხელმძღვანელს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს. გამგეობის ყველა წევრი ვალდებულია

§19 Ämter und Geschäftsordnung

- (1) Der Vorstand gibt sich eine Geschäftsordnung.
- (2) Der Vorstand kann aus seiner Mitte die verantwortliche Personen für folgende Bereiche bestimmen:
 - Vorsitz
 - Finanzangelegenheiten
 - Rechtsangelegenheiten
 - Personalangelegenheiten
 - Bauangelegenheiten
 - Schriftführung
 - MarketingEiner der Bereichsvorstände übernimmt auch die Funktion des stellvertretenden Vorsitzenden.
- (3) Die Verhandlungssprache ist Deutsch.

§20 Beschlüsse und Beschlussfähigkeit

- (1) Die Beschlüsse des Vorstandes werden mit Stimmenmehrheit der anwesenden Vorstandsmitglieder gefasst. Bei Stimmengleichheit gibt die Stimme des Vorsitzenden den Ausschlag.
- (2) Der Vorstand ist beschlussfähig, wenn mindestens die Hälfte seiner Mitglieder anwesend ist.
- (3) Wird der Vorstand, z. B. durch das Ausscheiden von Mitgliedern, beschlussunfähig, so benennt der Vorsitzende einen Geschäftsführer, der befugt ist, bis zur Behebung der Beschlussunfähigkeit die gesamten Geschäfte des Vorstandes zu führen. Sind der Vorsitzende oder sein Stellvertreter ausgeschieden, oder erfolgt die Bestellung des Geschäftsführers nicht innerhalb von 20 Tagen, so steht das Recht zur Benennung auch dem Leiter der Botschaft der Bundesrepublik Deutschland oder dessen Beauftragten zu. Jedes Mitglied des Vorstandes ist verpflichtet, eine Bestellung anzunehmen, mit Dritten ist eine Vereinbarung zu treffen, aus der sich ergibt, in welchem Umfang der Geschäftsführer neben dem Vorstand persönlich verantwortlich wird.

დაეთანხმოს ამ დანიშვნას.
გამგეობის წევრთა პარალელურად,
საქმეთა მმართველის პირადი
პასუხისმგებლობის საკითხი,
თანხმდება მესამე პირთან.

§21 სხდომების მოწვევა

- (1) როგორც წესი გამგეობის სხდომებს იწვევს თავმჯდომარე, შეკრებამდე მინიმუმ ერთი კვირით ადრე შეტყობინების გზით. გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევებში თავმჯდომარე სხდომას იწვევს კვირის განმავლობაში.
- (2) გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევებში როგორც წესი ჩაითვლება, იმგვარი შემთხვევები, როდესაც გამგეობის ორი წევრი, საელჩოს ხელმძღვანელი ან მისი წარმომადგენელი, ან სკოლის ხელმძღვანელი შესაბამის განაცხადს გააკეთებს.

§22 გამგეობის ამოცანები

- (1) გამგეობა წარმართავს გერმანული სკოლის კავშირის სრულ საქმიანობას, გარდა იმ უფლებამოვალეებისა, რაც აკისრია წევრთა საერთო კრებას. გამგეობას სისრულეში მოყავს საერთო კრების გადაწყვეტილებები.
- (2) კერძოდ, გამგეობა ასრულებს შემდეგ ამოცანებს:
 - ა) სკოლის ხელმძღვანელის არჩევა, მისთვის მოვალეობების განსაზღვრა და გათავისუფლება;
 - ბ) სკოლის მასწავლებელთა და თანამშრომელთა მოვალეობების განსაზღვრა და მათი გათავისუფლება. სკოლის ხელმძღვანელის თანამონაწილეობით, სასკოლო განაწესისა და სკოლის ხელმძღვანელის ხელშეკრულებაში განსაზღვრული წესების შესაბამისად, ფედერაციული ადმინისტრაციული უწყების – საგარეო სასკოლო საქმეების ცენტრალური უწყება, კოლნში – მასწავლებელთა

§21 Einberufung von Sitzungen

- (1) Zu den Sitzungen des Vorstandes lädt der Vorsitzende in der Regel eine Woche vor Beginn einer Sitzung ein. In dringenden Fällen beruft der Vorsitzende innerhalb einer Woche eine Sitzung ein.
- (2) Ein dringender Fall liegt in der Regel vor, wenn zwei Vorstandsmitglieder, der Leiter der Botschaft der Bundesrepublik Deutschland oder dessen Beauftragter, oder der Schulleiter den entsprechenden Antrag stellen.

§22 Aufgaben des Vorstandes

- (1) Der Vorstand ordnet sämtliche Angelegenheiten des Deutschen Schulvereins, soweit sie nicht der Beschlussfassung durch die Mitgliederversammlung vorbehalten sind. Er führt die Beschlüsse der Mitgliederversammlung aus.
- (2) Im Einzelnen nimmt der Vorstand folgende Aufgaben wahr:
 - a) Wahl, Verpflichtung und Entlassung des Schulleiters;
 - b) Verpflichtung und Entlassung von Lehrern und Angestellten der Schule, örtliche Vorentscheidung über die Dienstverträge der vom Bundesverwaltungsamt - Zentralstelle für das Auslandsschulwesen - in Köln vermittelten Lehrer unter Mitwirkung des Schulleiters entsprechend der in seiner Dienstordnung und seinem Dienstvertrag festgelegten Regelung;

- ადგილობრივი ხელშეკრულებების განსაზღვრა;
- გ) სკოლის მიზნებისა და სტრუქტურის განსაზღვრა;
- დ) სკოლის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი სკოლის განაწესის დამტკიცება. ახალი საანგარიშგებო წელიწადის ბიუჯეტის შემუშავება, გერმანული საუწყებო დახმარების მოთხოვნების გათვალისწინებით;
- ე) სკოლისათვის საჭირო თანხების გამოყოფა, ბიუჯეტის შესრულების კონტროლი. გამგეობა უფლებამოსილია აიღოს სესხი, რომელს დაფარვა ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს ერთ წელიწადს და რომლის მოცულობა ცალკე ან სხვა კრედიტებთან ერთად არ აღემატება წლიური ბიუჯეტის ერთ მეთორმეტედს;
- ვ) გადაწყვეტილება წევრის მიღებაზე, წევრობის ფორმის შეცვლაზე, ასევე წევრის გარიცხვაზე § 6 (2) და § 7 (2) შესაბამისად.
- ზ) სკოლის კავშირის სამართლებრივი და სხვა წარმომადგენლობა, კავშირის სახელით სამართლებრივი განცხადებების გაკეთება ან მიღება;
- თ) სასკოლო გადასახადის მოცულობის დადგენა და გადაწყვეტილების მიღება სასკოლო გადასახადის შედავათებთან დაკავშირებული განაცხადების შესახებ;
- ი) წევრთა საერთო კრების მოწვევა და დღის განრიგის განსაზღვრა;
- კ) ღონისძიებებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღება, სკოლის განაწესშია გათვალისწინებული მოცულობით;
- ლ) კავშირის საქმიანობის შესახებ წლიური ანგარიშის მომზადება და მისი საერთო კრებაზე წარდგენა;
- მ) სკოლის ბიუჯეტისა და
- c) Beschlussfassung über Zielsetzung und Aufbau der Schule;
- d) Inkraftsetzung der durch den Schulleiter eingebrachten Ordnungen der Schule; Ausarbeitung des Haushaltsentwurfs für das neue Wirtschaftsjahr unter Berücksichtigung der Bewilligungsbedingungen für die deutsche amtliche Förderung;
- e) Bereitstellung der erforderlichen Mittel für die Schule, Überwachung der Einhaltung des Haushaltsplanes. Der Vorstand entscheidet über die Aufnahme von Darlehen, die eine kürzere Laufzeit als ein Jahr haben und deren Betrag einzeln oder zusammen mit anderen Darlehen ein Zwölftel des Jahreshaushalts nicht überschreiten darf;
- f) Entscheidung über Aufnahme, Änderung der Art der Mietgliedschaft, sowie Ausschluss gemäß §§ 6 (2) und 7 (2).
- g) Gerichtliche und außergerichtliche Vertretung der Schulvereinigung, Abgabe und Annahme von Rechtserklärungen für die Schulvereinigung;
- h) Entscheidung über die Schulgeldhöhe und über Anträge auf Schulgeldermäßigung;
- i) Einberufung der Mitgliederversammlung und Aufstellung der Tagesordnung;
- j) Entscheidung über Ordnungsmaßnahmen, soweit die Schulordnung dies vorsieht;
- k) Ausfertigung eines Jahresberichts über die Vereinigungstätigkeit und dessen Vorlage bei der Mitgliederversammlung;
- l) Genehmigung der Haushaltsführung

- საანგარიშგებო წელიწადის შედეგების დამტკიცება:
- (3) გადაწყვეტილებები, რომლებიც გავლენას ახდენს გერმანული მხარდაჭერის ფორმასა და მოცულობაზე საჭიროებს შეთანხმებას გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩოს ხელმძღვანელთან ან მის წარმომადგენელთან;
 - (4) სკოლის საორგანიზაციო საკითხებს გამგეობა აგვარებს სკოლის ხელმძღვანელთან შეთანხმებით, რომლის უფლებები და მოვალეობები პედაგოგიურ და ადმინისტრაციულ სფეროში განსაზღვრულია შრომითი ხელშეკრულებით.

und des Jahresabschlusses der Schule.

- (3) Beschlüsse, die sich auf Umfang und Art der deutschen Förderung auswirken, sind im Einvernehmen mit dem Leiter der Botschaft der Bundesrepublik Deutschland oder dessen Beauftragter zu fassen.
- (4) Organisatorische Angelegenheiten der Schule regelt der Vorstand im Einvernehmen mit dem Schulleiter, dessen Aufgaben und Zuständigkeiten im pädagogischen und administrativen Bereich durch die Dienstordnung festgelegt sind.

§23 დოკუმენტთა ხელმოწერა / წარმომადგენლობა

- (1) სკოლის კავშირის დოკუმენტების სამართლებრივი ხელმოწერის უფლება აქვს თავმჯდომარეს ან, თუკი ეს შეუძლებელია, მის მოადგილეს სკოლის კავშირის გამგეობის რომელიმე წევრთან ერთად, რომელიც შესაბამის სფეროზეა პასუხისმგებელი.
- (2) სამართლებრივი წარმომადგენლობა არის შეზღუდული იმგვარად, რომ კავშირის ქმედითი წერმომადგენლობა და სამართლებრივი ვალდებულების აღების უფლება აქვს მხოლოდ თავმჯდომარეს ან, შესაძლებლობის ფარგლებში, მის მოადგილეს შესაბამის სფეროზე პასუხისმგებელ გამგეობის წევრთან ერთად. წარმომადგენლობითი უფლებამოსილებისა და პასუხისმგებლობის სხვა საკითხები განისაზღვრება გამგეობის შიდაგანაწესით.
- (3) ისეთი საკითხების გადაწყვეტა, რომლებიც გავლენას ახდენენ გერმანული მხარდაჭერის ფორმასა და მოცულობაზე, საჭიროებენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩოს

§23 Zeichnung von Schriftstücken / rechtsgeschäftliche Vertretung

- (1) Die rechtsverbindliche Zeichnung von Schriftstücken der Schulvereinigung erfolgt durch Unterschrift des Vorsitzenden oder im Verhinderungsfall durch seinen Stellvertreter und eines weiteren Mitgliedes des Schulvereinigungsvorstandes, je nach Bereichszuständigkeit.
- (2) Die rechtsgeschäftliche Vertretung wird dergestalt eingeschränkt, dass nur der Vorsitzende oder im Verhinderungsfall der Stellvertreter gemeinsam mit einem weiteren Vorstandsmitglied (je nach Bereichszuständigkeit) die Vereinigung wirksam vertreten und rechtsgeschäftliche Bindungen eingehen können. Näheres regelt die Geschäftsordnung des Vorstandes.
- (3) Soweit Angelegenheiten berührt werden, die sich auf Umfang und Art der deutschen Förderung auswirken können, ist die Zustimmung des Leiters der Botschaft der Bundesrepublik Deutschland oder dessen Beauftragter vorher herbeizuführen.

- ხელმძღვანელის ან მის უფლებამოსილი თანხმობას.
- (4) სკოლის ხელმძღვანელის საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტების ხელმისაწვდომია სკოლის ხელმძღვანელისათვის და ისინი გასაცნობად მიეცემა ამ უკანასკნელს.

- (4) Soweit Schriftstücke den dienstlichen Bereich des Schulleiters berühren, wird ihm Einblick gegeben.

სხვა დებულებები

SONSTIGES

§24 სკოლის ხელმძღვანელის უფლებები და მოვალეობები

§24 Rechte und Pflichten des Schulleiters

სკოლის ხელმძღვანელის უფლებები და მოვალეობები, განსაკუთრებით მისი პირადი მონაწილეობა გამგეობის გადაწყვეტილებების მიღებისას განსაზღვრულია სამუშაო განაწესის, სკოლის განაწესისა და კრების განაწესით.

Rechte und Pflichten des Schulleiters, insbesondere seine Mitwirkung bei personellen Entscheidungen des Vorstandes sind durch den Dienstvertrag, die Dienstordnung, die Schulordnung und die Konferenzordnung festgelegt.

§25 მასწავლებლების, მოსწავლეების და მშობლების თანამონაწილეობა

§25 Mitwirkung von Lehrern, Schülern und Eltern

გამგაობა უზრუნველყოფს, რომ მასწავლებლებს, მოსწავლეებს და მშობლებს, ისევე როგორც სკოლის შესაბამის უწყებებს, როგორცაა მაგალითად, მშობელთა საკონსულტაციო საბჭო, ჰქონდეთ შესაბამისი თანამონაწილეობა სასკოლო ცხოვრებაში, რაც განსაზღვრულია სკოლის განაწესით.

Der Vorstand trägt dafür Sorge, dass den Lehrern, Schülern und Eltern sowie den entsprechenden Gremien der Schule, wie etwa dem Elternbeirat, eine angemessene Mitwirkung und Beteiligung am schulischen Leben entsprechend den für die Schule geltenden Ordnungen eingeräumt wird.

§26 ფინანსური კონტროლი

§26 Rechnungsprüfung

- (1) წევრთა საერთო კრება ირჩევს ფინანსების მაკონტროლებელს, რომელიც ამოწმებს კავშირის მთლიანი ქონების, განსაკუთრებით კი სალაროში შემოსული თანხების და წლიური საბიუჯეტო გეგმის შესრულებას და წლის დასრულების ფინანსურ ანგარიშს.
- (2) აუდიტორის არჩევა ხდება შესაბამისად მომდევნო საანგარიშგებო წლისთვის. ხელახალი არჩევა დაშვებულია.
- (3) აუდიტორი არ უნდა იყოს გერმანული სკოლის კავშირის წევრი და უნდა იყოს კვალიფიცირებული აუდიტორული სამსახურის წევრი.

- (1) Die Mitgliederversammlung wählt einen Rechnungsprüfer, der die gesamte Vermögensverwaltung, insbesondere das Kassenwesen sowie die Einhaltung des Haushaltsplans zu überwachen und den Jahresabschluss nach Fertigstellung zu prüfen hat.
- (2) Die Wahl des Rechnungsprüfers erfolgt jeweils für das folgende Wirtschaftsjahr. Eine Wiederwahl ist möglich.
- (3) Der Rechnungsprüfer soll kein Mitglied des Deutschen Schulvereins sein und einer entsprechend qualifizierten Rechnungsprüfungsgesellschaft angehören.

საერთო კრება უფლებამოსილია დამსწრე წევრთა ორი მესამედის ხმათა უმრავლესობით აუდიტორად დანიშნოს კავშირის ორი წევრი.

Die Mitgliederversammlung kann jedoch mit einer Mehrheit von zwei Dritteln der anwesenden Mitglieder auch zwei Mitglieder des Deutschen Schulvereins zu Rechnungsprüfern bestimmen.

§27 სკოლის კავშირისა და სკოლის განსაკუთრებული ვალდებულება

- (1) წინამდებარე წესდება განსაზღვრავს გერმანული სკოლის კავშირის ამოცანებსა და პასუხისმგებლობებს.
- (2) ამის გარდა, არსებობს გერმანული სკოლის კავშირისა და სკოლას განსაკუთრებული ვალდებულება:
 - ა) შესაბამისი ადგილობრივი სასკოლო უწყებების წინაშე, თუკი სკოლის სამეთვალყურეო საბჭო მათ მიერ აღიარებულ იქნება;
 - ბ) გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ფედერაციული ადმინისტრაციული უწყების – საგარეო სასკოლო საქმეების ცენტრალური უწყების წინაშე, დახმარების საკითხებში;
 - გ) განათლების მინისტრების კონფერენციის წინაშე, სასწავლო გეგმების, გერმანული გამოცდების, სკოლის აღიარების საკითხებში, გერმანიაში მოქმედი ატესტატებისა და სკოლის დამთავრების უფლებამოსილების საკითხებში;

§27 Besondere Bindungen der Schulvereinigung und der Schule

- (1) Durch diese Satzung werden die Aufgaben und die inneren Zuständigkeiten des Deutschen Schulvereins geregelt.
- (2) Daneben bestehen besonders geregelte Bindungen des Deutschen Schulvereins und der Schule:
 - a) gegenüber den zuständigen einheimischen Schulbehörden, wenn die Schulaufsicht von ihnen wahrgenommen wird;
 - b) gegenüber dem Auswärtigen Amt und dem Bundesverwaltungsamt - Zentralstelle für das Auslandsschulwesen - wegen der Förderungsbedingungen;
 - c) gegenüber der Kultusministerkonferenz wegen der Lehrpläne, der deutschen Prüfungen, der Anerkennung der Schule im Sinne von in Deutschland gültigen Zeugnis- und Abschlussberechtigungen.

§28 წესდების შეცვლა

- (1) წესდების შეცვლა საჭიროებს გერმანული სკოლის კავშირის ხმის უფლების მქონე წევრთა საერთო კრების ორი მესამედის გადაწყვეტილებას.
- (2) დებულებების შეცვლა, რომლების გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თანამონაწილეობას უფლებას ითვალისწინებს, საჭიროებს გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს თანხმობას.

§28 Änderung der Satzung

- (1) Eine Änderung der Satzung kann nur von der Mitgliederversammlung des Deutschen Schulvereins mit einer Mehrheit von zwei Dritteln der abgegebenen gültigen Stimmen beschlossen werden.
- (2) Änderungen von Bestimmungen, die ein Mitwirkungsrecht der Bundesrepublik Deutschland vorsehen, bedürfen der Zustimmung des Auswärtigen Amtes.

§29 კავშირის ლიკვიდაცია

- (1) §2 (1) მუხლის ცვლილება იწვევს კავშირის ლიკვიდაციას. კავშირის

§29 Auflösung der Schulvereinigung

- (1) Eine Änderung des § 2 Absatz (1) führt zur Auflösung der Vereinigung. Die Auflösung

ლიკვიდაცია საჭიროებს კავშირის ხმის უფლების მქონე წევრთა სამი მეოთხედის თანხმობას.

- (2) კავშირის ქონების ლიკვიდაციას აწარმოებს გამგეობის მიერ დანიშნული ერთი ან რამდენიმე პირი, კანონით გათვალისწინებულ ფარგლებში. ლიკვიდაციის დროს არსებული დადებითი ბალანსი გადაეცემა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას.

§30 დასკვნითი დებულებები

წინამდებარე წესდება მიღებულია „თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირი“-ს (თგესს) წევრთა კრების მიერ და ხელმოწერილია დამსწრე დამფუძლებლების მიერ გერმანულ და ქართულ ენებზე ხუთი თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად. ქართულ და გერმანულ ვარიანტებს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება გერმანულ ვარიანტს.

der Vereinigung kann weiterhin nur mit Zustimmung von drei Vierteln aller stimmberechtigten Mitglieder erfolgen.

- (2) Die Liquidation des Vereinigungsvermögens erfolgt durch eine oder mehrere durch den Vorstand bestimmte Personen und gemäß den gesetzlichen Vorschriften. Bei der Liquidation vorhandenes positives Vermögen fällt der Bundesrepublik Deutschland zu.

§30 Schlussbestimmungen

Diese Satzung wurde von der Mitgliederversammlung der Vereinigung zur Gründung und Förderung der Deutschen Internationalen Schule Tbilisi (DIST) angenommen und von den anwesenden Gründungsmitgliedern als deutsche und georgische Fassung in fünf gleichrangigen Kopien unterzeichnet. Im Falle der Widersprüchlichkeit zwischen der georgischen und deutschen Fassung, hat die deutsche Fassung den Vorrang.